

2
4/2

549/2



28

1974 0363360 N1

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅԵՐԵՎԱՆԻ ՄԱՍԻՍ

ბატაკო ჯელეონიან

ირაკლი ავაშიძე

— ალო, ალო,
ციევი მინდა!
— ანა, მე ვარ დათვი,
— შენ საიდან?
დადე მილი;
მიღს გაცუჭვი თათი.

— ალო, ალო,
ციევი მინდა!
— ანა, მე ვარ მხვი...
— ალო, ალო,
ციევი მინდა!
— ანა, მე ვარ შაჭვი;

— ალო, ალო,
ციევი მინდა!
— ანა, მე ვარ იხვი...
— ეს რა ტელეფონებია?
ხისი, ხისი, ხისი!

ნახატი გუნთ ხილაშვილის



ახალი წელი ტყევი

ნახატები სოფიო ქინწარაშვილისა

მზია ჩხვიანი

ცხრა მთას იქით,
 ცხრა ზღვის გაღმა,
 ცხრათავიან დევებს
 ცხრა ნაძვის ხე მოუკაზმავთ,
 ვერით ცასა ხევენ.
 ცხრა კოცონზე ცხრა-ცხრა მწვადი
 შიშინებს და იწვის,
 ცხრა ცა შუქით აუესია
 ცხრა ნაძვისხის ციმციმს.
 ცხრა დარბაზში ტკბილეულის
 გორებს ვეღარ ტყვენ,
 — ხო-ხო-ხო-ხო,
 ხა-ხა-ხა-ხა,—
 ხორხოცი აქეთ დევებს.
 ცხრა მუხაზე, დიდ მუხაზე
 ჩხავის ცხრა-ცხრა ყვავი,
 დასაკლავი ცხრა ირეი
 საწყალობლად ბღავის.

გადასიბუღ უღრან ტყეში
 დადის ბაკიბუკით,
 დადის, ტირის, ეძებს დედას
 ცხრა ობოლი ნუკრი.
 — უუ,—ღმუის ტყეში მგელი,
 სადღაც ტურაც კივის,
 ტყე ბუბუნებს,
 ტყე გუბუნებს,
 საშიში და ცივი!

— ხო-ხო-ხო-ხო,
 ხა-ხა-ხა-ხა,—
 ხორხოცებენ დევები,
 უპ, რამხელა მუცლები აქეთ—
 ტონიანი ქვევრები.
 საცრისხელა თვალებიდან
 ცეცხლს და ელვას კვესავენ
 და ირმების დასაკლავად
 ცხრა დიდ ხანჯალს ლესავენ!
 იკრემლემა ცხრა ირემი,
 ეპ, ნუკრებო, სადა ხართ?
 უკვე აღარ ელირსება
 დედებს თქვენი დანახვა!



ქ. მარტის ს.ს. საქ-სარ
 სახელწიფო რესტრუქცი-
 ბი ლიოთეკა

* * *

ჩქარა, ჩქარა,
ჩქარა, ჩქარა,
ცაზე მოჰქრის ვერტმფრენი,
მოგუგუნებს, მოპრიალებს,
როგორც ვერტმფრენს შეჰფერის.
კაბინაში ვაჟკაცულად
კობტა ბიჭი კახა ზის,
გამოცდილი ტექნიკოსი,
ყოჩაღი და მალხაზი...
— ჩუმად, ჩუმად!
ეს რა ხმაა?

ეს ვინ ტირის, ვინ ქვითინებს?
კახა ბიჭი რადიოთი
უსმენს საწყალ ბედშავ ირმებს:
უკრიალებს თეთრ რაკეტას
ფრთები ვერცხლის სირმებით,—
ცას იმედით შებღავიან ირმები...

* * *

გუგუნი რომ შემოესმათ,
ცას ახედეს დევებმა,
მკერდამდე სვეთო ღოჯები და,
რქები ადგათ ვეება.
ბაყბაყ დევებს ვერტმფრენიდან
წარბშეკრული, მკაცრი ტონით
კობტა ბიჭი კახაბერი
გადმოსძახის მიკროფონით:
— ეჰე, ჰეი, სქელუებო,
თუ სიცოცხლე კიდე გინდათ,
ირმები რომ მოიტაცეთ,
წუხელ ჩვენი დიდი ტყიდან,
შინ გაუშვით, ჩქარა, თორემ
სულ მიწასთან გადაწვორებთ!
— ოხო-ხო-ხო,

ხა-ხა-ხა-ხა,—
აზორხოცდნენ დევნი ისევე,
ტყემ ზანზარი დაიწყო და,
დიდმა მთებმა ბანი მისცეს.
ერთი დევი ეკითხება:
— როგორ ახველ, ბიჭო, მანდო?
— დიდი ცეცხლი ავანთე და
მისმა ალმა ამომაგდო.
როდი ჰგავდნენ ეს დევები
სხვა ზღაპრების სულელ დევებს,
კახას მუშტი მოუღერეს,
შენ გგონია დაგიკერებო?—



კახამ კიბე ჩამოუშვა,
— ამოჰყევით ავერ კიბეს!—
იმ კიბესთან კი დევებმა.
სულ ქონძულით მიირბინეს.
რა იცოდნენ, ჩვენი კახა
რა ჭკვიანი ბიჭიც გახლავთ!
მათ იმედი ჰქონდათ ღონის,
არც სმენოდათ ელექტრონი.
მისცივდნენ და ის-ის იყო
ყველამ ერთად სტაცა ხელი,
აფართხალდნენ, აკანკალდნენ,
დღე დაადგათ საშინელი.

— ოხ-ოხ-ოხ-ოხ,
ეხ-ეხ-ეხ-ეხ,—
აფხარკალებს ყველა ფეხებს.
— ჰი-ჰი-ჰი-ჰი—
ჰა-ჰა-ჰა-ჰა,—

მუცელს ხელით იჭერს კახა.
მერე დევებს გადმოსძახა:
— აბა, ახლა რას აპირებთ,
არ გაუშვებთ მაგ ფურ-ირმებს?
— ნუ ღრიალებთ, არ მოკვდებით,
ნუ ფართხალბობთ, არა გიშავთ...
და კიბიდან კახა ბიჭმა
ელექტრონი გამოთიშა.

— ბახ-ბუხ,
ბახ-ბუხ,
ხა-ხა,—
ხა-ხა,—
ყველა დაბლა დაენარცხა.
კენესის, ხენესის ცხრა ძმა დევი,
ტირის, ცრემლებს აღვარღვარებს,
კი, გაგუშვებთ, კი გაგუშვებთ,
ოღონდ ახლა შეგვიბრალე.

* * *

შუა ტყეში ნაძვი მორთეს,
კურდღელმა და ციყუნებმა,
ნაძვის ხეა იმისთანა,—
რა სჯობია მის ყურებას!
ნაძვის ირგვლივ მსეცუნების
ფერხული და კისკისია,
კახა ყველას ასაჩუქრებს:
ეს ციყვს, კურდღელს ის ზიზია!
ნუკრებს—ჭრელი ფაჩურები,
ცხადია თუ სიზმარია—
ფურ-ირმები?! ფურ-ირმებიც
იქ არიან!



მოთხრობები

3. ი. ლენინმა

კრემლის კომუნისტური ჩანანაკობიდან

ჩვენო პატარა მეგობრებო:

აჰ წელი გავიდა, რაც გარდაიცვალა დიდი ბელადი—ვლადიმერ ილიას ძე ლენინი-
ლენინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევო-
ლუციამ.

ლენინმა შექმნა კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

ლენინმა მოგვიტანა ეს ბედნიერი ცხოვრება...

მაგრამ, როგორი იყო დიდი ბელადი პირად ცხოვრებაში?

აი, ამაზე გაამბობთ ეს მოთხრობა, რომელიც ამოდებულია კრემლის ყოფილი კო-
მუნდანტის—პავლე მალკოვის წიგნიდან.

პავლე მალკოვი

ნახატები რეპუბლიკის

ცხოვრებაში ილიჩი საოცრად თავმ-
დაბალი იყო. ბინა ჰქონდა ცივი, შეშით
თბებოდა, მაგრამ საწვავი არ ჰყოფნიდათ.
შეშა კრემლში საერთოდ ჰქირდა და არასო-
დეს, არც ვლადიმერ ილიას ძეს და არც ნა-
დევდა კონსტანტინეს ასულს, ერთი სიტყვაც

არ უთქვამთ, არ შემოუჩივლიათ, რომ იცი-
ნებთან.

მე ეს არ ვიცოდი, სანამ სიცოცხლე სიტყვა
არ ჩამომიგდო საშუმ, იმ ქალმა, ილიჩის ოჯახ-
ში რომ მუშაობდა. მან გამანდო ეს და, თა-
ნაც გამაფრთხილა:



— ოღონდ, თუ ღემრთი გწამთ, ავლეღ დიმიტრის ძეგ, ნუ გამამხელთ, რომ შემოგჩივლეთ, თორემ გაიგებენ ვლადიმერ ილიას ძე, ან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მისაყვეღურებენ.

ერთხელ იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვმა და ფელიქს ეღმუნდის ძე ძერჟინსკიმ გადაწყვიტეს: ილიას ახალი კოსტუმი შემუშეღროთი. გამომიძახეს და დამავადეს, მეშოვა ქსოვილი და მიმეყვანა თერძი.— ოღონდაცო.— მითხრეს,— ამაზე ილიჩთან სიტყუაც არ დაცდეს, რომ გაიგოს— უარს იტყვისო.

ვიშოვე ქსოვილი, მოვძებნე თერძი და დავურევე იაკობ მიხეილის ძეს:

— ყვეღაფერი მზადაა.

— კეთილი, — მიპასუხა, — დავლოდე განკარგულეღბას.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე და თერძი ილიჩის ბინაზე მივეღდით. დაახლოებოთ, საღამოს ექვის საათი იქნებოღდა, ამ დროს ვლადიმერ ილიას ძე, ჩვეულეღბრივად, კაბინეტიღდან გამოღდიოღდა და ორ საათს შინ რჩებოღდა. ჩვენ რომ შემვეღდით, ვლადიმერ ილიას ძე, იაკობ მიხეილის ძე და ფელიქს ეღმუნდის ძე სხსადიღო ოთახში იყენენ და მხიარულად ლაპარაკოღდნენ. სვერდლოვი და ძერჟინსკი მაგიღდასთან ისხდნენ, ხოლო ვლადიმერ ილიას ძე ოთახში ზოღოთას სცემღდა, თითებოთ ჟიღლეტიში გაეყარა და ლაღღად იცინოღდა.

ჩვენ რომ დავეღინახა, ვლადიმერ ილიას ძე შეღდა, გაცეღებულმა დავეღწყო მზერა ხან მე, ხან თერძს, მერე მიუბრუნღდა სვერდლოვსა და ძერჟინსკის. ისინი მშვიღღად ისხდნენ. იაკობ მიხეილის ძე მაგიღდაზე თითებს აკაკუნებღდა და ფანჯარაში იტკიღრებოღდა, ხოლო ფელიქს ეღმუნდის ძე ნეღღა შემობრუნღდა. ხელი წაიღო მის ზურგს უკან მღგარი ეტაჟერისაკენ, გაღმოიღო პირვეღღივე შეხვეღღრილი წიგნი და გულღმოღდგინეღდ ფურცღღღა დაუწყო. ჩემს უკან თერძი მძიმეღდ სუნთქავღდა. ერთ აღღეღღას ტოკავღდა.

— რა მოხღდა, ამხანაგო მლოკოვე? მგონი მე თქვენ არ გამომიძახხიხართ. თქვენს ზურგს უკან ვინღღა იმაღღება?

ჩემი ხსნა იაკობ მიხეილის ძემ იკისრა:

— როგორც ჩანს, ამხანაგმა მლოკოვემა მოიყვანა თერძი, რომ ზომა აიღოს. მე ახლღ ასეთი შთაბეჭდიღღება შემექმნა.

— ვისი ზომა და რა ზომა? რა სისულელეა?—ილიჩს გაბრაზება დაეტყო.

— თქვენი, ვლადიმერ ილიას ძვე, თქვენი!—ჩაება საუბარში ფულიქს ედმუნდის ძეც.

— მოითმინეთ, მოითმინეთ,—გააწყვეტინა ილიჩმა,—რა არის ეს, შეთქმულებას მიწყობთ?

— როგორც გენებოთ, —დინჯალ თქვა ძერჟინსკიმ, — შეთქმულების აღმოჩენა კი, როგორც ცნობილია, ჩემი სპეციალობაა.

ყველამ გადაიხარხარა, ვლადიმერ ილიას ძემ გაიღიმა და ხელები გაშალა:

— რა გაეწყობა, თქვენ თქვენი გაიტანეთ.

მან ნაბიჯი გადადგა თერძისკენ და ხელი გაუწოლა:

— გამარჯობათ, ამხანაგო! ბოდიში, რომ თქვენ შეგაწუხეს, თავად შემეძლო თქვენთან მოესულიყავი...

1918 წლის შემოდგომაზე ერთხელ კრემლში შეშა მოზიდეს და დიდი სასახლის საბავშვო ოთახების პირდაპირ დააწყვეს. როგორც კი შეშა დაწყვეს, ილიჩმა დამირეკა:

— ამხანაგო მალკოვ, შეშა კრემლში თქვენი განკარგულებით შემოზიდეს?

ხმაზე შევატყვე, ვერ იყო საქმე კარგად, მაგრამ ვერ მივხვდი, რა მოხდა.

— დიახ, ვლადიმერ ილიას ძვე, ჩემი მი-

თითებით, საზამთროდ უნდა მოვიმარაგოთ..

— რა მოვიმარაგოთ? შეშა? მერე რა მოგიტანეს? ნახეთ თუ არა?

— ვნახე, რა თქმა უნდა, შეშა...

— შეშა! მერე რანარჩი შეშაა ეს! შპალეები მოგიზიდეს, საუკეთესო რკინიგზის შპალები. ჩვენ მთელ ქვეყანაში ტრანსპორტი უნდა აღვადგინოთ. თითოეული რგლისი, თითოეული შპალი აღრიცხვას უნდა იყოს და, თქვენ კი შპალები ღუმელში უნდა დაწვათ? არა, უნდა დაუფიქრდეთ ამას. დაუყონებლივ გააბრუნეთ უკან შპალები საჭიროებისამებრ და წარმომიდგინეთ უმეცარნი, ვინც შეშის მაგივრად შპალებს ავზავნის. ჩვენ მათ სამაგალითოდ დავსჯით.

რა თქმა უნდა, კრემლიდან შპალები უკან გავზიდეთ და კრემლი დარჩა უშეშოდ, სანამ ხელახლა არ მოვიმარაგეთ. ხოლო იმათ, ვინც შპალები გამოგზავნა, მართლაც მაგრად მოხვდათ.

ერთხელ სახკომსაბჭოს შენობას თოვლავდნენ. უცვებ ვლადიმერ ილიას ძემ დარეკა და მითხრა: აბა, როგორ შეიძლება თოვლის ასე გადმოყრა? პირდაპირ მავთულებს ეყრება. დაწყვეტენ და მერე უნდა აღვადგინოთ. ვარგა მერე ეს? უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგები, რომ ასეთი უმსგავსობა აღარ განმეორდეს.



საბავშვო ნოტატი

ლილა პრამი

— შითხარ, რა მიგატყეს კალბათით, შელია—კუდიგრძელია?
— ქათმები შიმუვას, შვილები შმიერ-მწუწუნადნი შელიან; შინდა, ამ შცინე ნობათით ჩავუტკებარუნო ველია და გავუთენო ახალი ბედნიერების წელი!

პიჭო, თოვლი გვსტუმრები

თინათინ ჰვირიკაძე



ზურნ, გარეთ გაიხედე,
მართლა ფანტელებია,
თუ ბუმბულის ბალიშები
დაუფერთსნავს ბებიას.

ბიჭო, თოვლი გვსტუმრებია,
ფრთაფარფატა ფანტელი...
მაშ, გიუვარდეს გუნდაობა,
თოვლის კორინტელი!

ნახატები თაბაზ ხაშიშვილი

გვეულმგენი

ზოზინ-ზოზინ, ფრენა-ფრენით,
ცას მივანობ შვეულმფრენი...

მიუვალი შთის სოფლები,
ჩემმა მოსვლამ დააშვეინა.
ზაწაწინა მდელოც შეოფნის,
მიწისგულზე დასაშვებად.

კლდეზეც ვჯდები. თვითმფრინავი
აბა, ჩემი რა ტოლია.

გრძელ ფრთებს ისე ვატრიალებ,
თითქოს ვენტლიატორია.

ნახატი ვაჟა ლათიაშვილი



ცეცხლს არ უნდა ეთამაშო, ღენს არ უნდა ეთამაშო

გიორგი ნაკათელი

ცეცხლს არ უნდა ეთამაშო,
ღენს არ უნდა ეთამაშო,
აღარ ახსოვს დარბევა,
გელაფ თამაშობს ღენტან ვასო.

იქ ჩაუბნო,
აქ ჩაუბნო
და ჩართული
დარჩა უთო...
სწავლი როდი დარჩა ვასო,
გამოვიდა სათამაშოდ...

ჩართული რომ დარჩა უთო,
ვასომ მამინ კაიხსენა,
ცეცხლმა როცა საწკეპლიდან
გამოიყო ალის ენა.



ზამთარი

ჯანსუღ ნიჟაბიძე

განედეთ, თქვენი ჭირიძე,
თერთად ქათქათებს მთა-ბარი.
გამთენიხას უცნოდ
სოფლად მოსულა ზამთარი.
— ხეჟ-ხეჟ გაჭრილა ბილიკო,
ჭალებო არაგვიანო,
სკოლისკენ მიმეჩქარება,
დღესაც არ დამაგვიანო!



სარკცხილან ჩამოსული ნკეთაბი

მარი გვალაიანი

ნახატები **ალეკარ ამომაძისა**



ცივი, სუსხიანი ზამთარი იდგა. არემარე თოვლით იყო გადათეთრებული. ფანჯრებზე ყინვას ულამაზესი ტყეები ამოქარგა, ხოლო საბურავებიდან უშველებელი ლოლუები გადმოკიდულყო.

ზინდებოდა, ერთი მალალი სახლის ფანჯარა ხმაურით გაიღო, გამოჩნდა ქალის სველი ხელები და გაყინულ ჰაერში თბილი ორთქლი ავარდა. ქალმა გადაგრეხილი, დაწურული სარკცი ჰაერში დაიქნია, ფანჯრის წინ გაბმულ თოკზე გაფინა, სამაგრებით დააბნია და სწრაფად მიხურა ფანჯარა. სარკცხის ცივმა ნიაჲმა წამოუბერა და თითქოს სიცივისაგან კანკალბესო, აათროლოა. მერე ლოლუებად მიაყინა ჩამონადენი წვეთები. გაყინა, გაშეშდა სარკცი. წელში გაიმართა ლილეებით ერთმანეთზე გადაბმული ბიჭის შარვალ-ხალათი, გოგონას კაბა.

— რა ლამაზი ყოფილხარ, ქრელო კაბავ, ნამდვილ გოგონას ვაგნარო,— ვადასჩურჩულა ბიჭის შარვალ-ხალათმა გოგონას კაბას.

კაბამ დაიმორცხვა, ნელა შეიბრა, მგონი წამოწითლდა კიდევ. სამაგრამ მოუქირა, თორემ აცეკვებაც კი მოუნდა. მაინც არ დაიბნა. ქრელო კაბა რაღა გოგონას კაბა იქნებოდა, რომ ენა ჩავარდნოდა:

— შენ კი ნამდვილი ბიჭი,— უთხრა ლილეებით ერთმანეთზე გადაბმულ შარვალ-ხალათს და იმასაც ხომ მეტი აღარ უნდოდა, გაიჭიმა, შეინძრა, სამაგრებიდან ფეხების განთავისუფლებას შეეცადა, თან თავისთვის ჩაიბურტყუნა:

— რა ვიცი, ჩემი პატრონი კი დაძინებისას ჩვარივით მიმაგდებს ხოლმეო...

— ჩემი პატრონი გოგონა სკამზე კი გადამკიდებს, მაგრამ ვანა მაინც ჩვარივით არ ვგდივარ მთელი ღამეო,— აპყვა კაბა.

— ჰო, მეტად მოსაწყენია ელოდო, როდის ჩაგიცვამენ, უიმათოდაც შეგვძლებია თურმე ფეხზე დგომაო,— გათამამდა ბიჭის შარვალ-ხალათი და მოეწონა თავისი აზრი.

— ჩემი პატრონი სარკეში ისევ კეკლუცობს. თითქოს მარტო თვითონ იყოს ლამა-

ზი და მე არ ვამშვენებდეთ,—აუწია ხმას
ქრელმა კაბამაც.

— მოდი, უშმათოდ გავიქცეთ და ქუჩაში
ვისვირნათო,— შესთავაზა ბიჭის შარვალ-ხა-
ლათმა.

კაბამ ისე დაიმორცხვა, ალბათ თავი რომ
ჰქონოდა, ჩაღუნავდა კიდევ. მერე მხრები
აიჩეჩა და ვითომ შემთხვევით, ერთი მხარი
განთავისუფლა სამაგრისაგან.

ბიჭის ტანსაცმელი, შარვლის ტოტებით
თავდაყირა რომ იყო ჩამოკიდებული, ისე
ღონიერად შეტორტმანდა, ორივე ფეხი გან-
თავისუფლა სამაგრებისაგან, ტანი აიქნია და
გოგონას კაბას სახელო სახელოში ჩასჭიდა,
ჩასჭიდა და ზედ მიეყინა.

— წამოდი, რაღას უტდი, ხედავ, ქუჩა რო-
გორ სარკესავითაა მოყინული, ჩვენც ბავ-
შეებივით ვისრიალოთო.

სამაგრმა უფრო მეტად მოუქირა გოგონას
კაბას მხარზე, არ წახვიდეთ, შეეხვეწა კიდევ,
მაგრამ ქრელი კაბა, აბა, რაღა გოგონას კაბა
იქნებოდა, რომ დაეჯვრებინა. მაინც დაუს-
ხლტდა ხელიდან სამაგრს. ფრიალ-ფრიალით
დაეშენენ ძირს, ქათქათა თოვლში, გოგონას
კაბა და ბიჭის შარვალ-ხალათი; სიცილ-კის-
კისით დააყარეს ერთმანეთს გუნდები, მერე
წამოხტნენ და ხელჩაკიდებულგებმა თავდალ-

მართი ჩაირბინეს. იმდენი ისრიალეს და ისა-
ლისეს, სიხარულისაგან ღიღებს ნაპერწყლ-
ბი სცვიოდათ.

ისე გავრთნენ, ვერც შენიშნეს ფინია რომ
წამოგპარათ. გაკვირვებულმა ფინიამ ჯერ
ცალი ყური ააპარტყუნა, მერე დასუნა ქრელ
კაბასა და ღიღებით გადაბმულ შარვალ-ხა-
ლათს და უმაღლვე სტაცა ორივეს პირი. სტა-
ცა და სახლისაკენ გააქანა: ისე უჭერდა კბი-
ლებს, ღამის გვერდები გამოაგლიჯა საცო-
დავებს.

კარი გოგო-ბიჭის დედამ გაუღო ყურშას,
კარებთან საცოდავად რომ წკმუნოდა.

— ყოჩაღ, ყურშა, ყოჩაღო! ნახეთ, ქარს
ჩაუყრია სარეცხი და ჩვენმა ყურშამ ამოი-
ტანაო...

ჰკვიან ყურშას ნამცხვარიც კი მიართვეს,
სარეცხი კი დედამ შუშაბანდში გაბმულ
თოკზე გადაფინა. მოლხვა გოგონას კაბა და
ბიჭის შარვალ-ხალათი, მოჩვარდა, წვეთები
ჩამოუვიდა...

— უი, იატაკზე გუბე დამდგარა, სარეცხს
წყალი ჩამოსვლიაო!—და გოგონამ ქვეშ ტი-
ლო დაუფინა.

რა იცოდა პატარა გოგომ, რომ ეს წყალი
კი არა; ქრელი კაბისა და ღიღებით გადაბ-
მული შარვალ-ხალათის ცრემლები იყო...





ჩვენს ოთახში ვეფხვებია

ნაზი კილასონია

ჩვენს ოთახში ვეფხვებია,
ვეფხვებს რბილი ფეხები აქვთ.
ღლე და ღამე კრუტუნებენ,
თან ერთმანეთს უყურებენ.
როცა დედა თვდის,
შვილი სვლიპავს რძეს.
როცა შვილი ნადირობს,
მაშინ დედა სადილობს.
მაინც რითი სადილობენ,
მაინც რითი ნადირობენ.
იარალი ბევრი აქვთ,
ზოგი ასაბმელი აქვთ,
ზოგი გადასაკიდი—
ჩადის ფასად ნაყიდი.

ნახატი თამარ ჩიჩინაშვილისა

დედას დიდი დამბარა
დაავიწყდა, აქ დარჩა.
შვილის ხანჯალს ვინ ნახავს—
ბაღის შის ქვეშ ინახავს.
მაგრამ მაინც ნადირობენ
და ჩანგლებით სადილობენ.
შვილი ამბობს: მიაო!
ესე იგი „მშიაო“.
დედა ბრძანებს სწორებას,
შვილი გაიზმორება.
ჰო, რა კარგი ვეფხვებია,
ჰო, რა კარგი ფეხები აქვთ.
ბუპირობენ „მიაოს“,
ესე იგი: „გეშიაო!“

ბავშვების საყვარელი მწერალი

შესრულდა 70 წელი, გამოჩე-
ნილი საბავშვო მწერლის—არკადი
გაიდარის დაბადებიდან.

არკადი გაიდარს ძალიან უყვარ-
და ბავშვები, იგი მათ ასე არი-
გებდა: „პატროსნად უნდა იცხოვ-
რო, ბევრი უნდა იმუშაო და ძლიერ
უნდა გიყვარდეს ეს ვეებერთელა
ბედნიერი მიწა, რომელსაც საბ-
ჭოთა ქვეყანას უწოდებენ“.

ა. გაიდარის მოთხრობები დიდი
ხანია შეიყვარეს ნორჩმა მკითხვე-
ლებმა.

არკადი გაიდარი გმირულად დაი-
ღუპა დიდ სამამულო ომში 1941
წელს.



არკადი გაიდარი

მარუსია

ჯაშუშმა ჭაობი გადალახა, ჩაიცვა წითელარ-
მიელის ტანსაცმელი და გზაზე გავიდა.

გოგონა ჭვავის ყანაში ღიღილოებს ჰკრეფდა.
იგი მივიდა და თაიგულის ღეროების შემოსას-
წორებლად დანა სთხოვა გზად მიმავალს.

ჯაშუშმა მას დანა მისცა და ჰკითხა: რა
გქვიაო. ჯაშუშს გაეგონა, რომ საბჭოთა ქვეყა-
ნაში ხალხს მხიარული ცხოვრება აქვს; ამიტომ
დაიწყო სიცილი და მხიარული სიმღერაც შე-
მოსძახა.

— განა შენ მე არ მიცნობ?!—გაკვირვებით
ჰკითხა გოგონამ,—მე მარუსია ვარ, ლეიტენანტ
ეგოროვის ქალიშვილი. ამ თაიგულს მამას მი-
ვუტან...
მან მოკრძალებით შეასწორა ყვავილები და

თვლებზე ცრემლი მოადგა.
ჯაშუშმა დანა ჯიბეში ჩაიღო და ხმამაღო-
ლებლად განაგრძო გზა.

საკუშვაგოზე მარუსიამ ასე უამბო:
— წითელარმიელი შემხვდა. ჩემი სახელი
ვუთხარი, და, საკვირველია, ის მაინც იცინოდა
და მღეროდა.

მეთაური მოიღუშა, დაუძახა მორიგეს და გაგ-
ზავნა წითელარმიელები „მხიარული“ კაცის და-
საწევად.

მხედრები გაეშურნენ, მარუსია კი მივიდა
მდინარის ციცაბო ნაპირთან და თაიგული მამის
საფლაოზე დასდო. საფლაოე ახალი იყო, მარუ-
სიას მამა წინააღმდეგობა სისაზღვრო შეტაკებაში
მოეკლათ.

პატარა მსატყობარი

მარი სპარაიშვილი

ხელით გდასწველი
სხედან მკაც და მიაკო,
ორი ზატარა ნიბლია,
ორივე გიანს დაიკო.
თვალსაც არ ხსამსამებენ,
სხედან, უმხურენ მამიკოს,
ვია კი თვარულბლივი
სატარს მკაცს და მიაკოს.



გვერდი

მესეთ შიღვანს, ვოცის, დათოს,
როგორ მოუღვინათო,
თმაქონარა ბიჭებია,
ველი მოუღვინათო.
მოდიან და ვანს მიეცით,
მოდიან და მღვინათო:
ბაბ, დელი, დელიაო,
საქართველო ჩვენათო.

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ბები

ნახტი ზარბ ლუქაშვილი

კლინ ბინათოლი

ნათევანის ბებია
ჩამოვიდა ქალაქში.
ბინა შესძრა გოგონამ
ცეკვით, ზტუნვა-თამაშით.
უხარია ნათევანს,
მამას უმჯერს იმაყად:
— ჩემზე კარგი ბებია
სხვას არავის არა მყავს.
შენი ბებო სადღაა,
ბებო არ გყავს მამიკო?—
— ჩემს ბებოზე უტკბესი,
შვილო, არვინ არ იყო.
სათუთს, მზრუნველს


მუხლჩანჩილს

ცერ ნახავდი წამითაც.
ხშირად, გართულს საქმეში,
არ ეძინა ღამითაც.
ბებო უნდა გიყვარდეს,
ბებოს ვინ შეეღრება:
შენზე ფაქრში, ზრუნვაში,
სიყვარულში ბერდება.

თარგმანი ანორი აბულაშვილისა



მისა შილღალი



კავარა მოთხრობები

კუს სისწაუით

კუს ჰკითხეს: თბილისიდან კუს ტბა შორსააო?

— ასე, ათი დღის სავალზეო!—უპასუხა კუმ.

ნაყენი ბედა

მელას უსაყვედურეს:—ქათმებს იპარავო!

მელამ წყენით მიუგო:—რას აგინებებით ეს ქათმები, წელიწადში ორიოდ ქათამს თუ მოვიხელთებ, იმას კი არავინ ამბობს, რომ ათასობით მცენებელ მინდვრის თავეს ვანადგურებო!

უხეხაკი ღოკოკინა

ღოკოკინას ჰკითხეს:—უველაზე მაგარი ციხე სიმაგრე რომელია ქვეყანაზეო?

ღოკოკინამ ამაყად თქვა:—ჩემი ნიუარაო!

ხაკი და სოჭო

მაისის ხოჯომ ხარი დაინახა და წაიჭირქილა: — ამ ახმასხაც ჩემისთანა რქები ჰქონიაო!



თოვლის სიკათა

შვილიშვილმა ბაბუას ჰკითხა:—თოვლი შენც ჩემსავით გიყვარსო?

— უფრო მეტად!—უპასუხა ბაბუამ, — შენ თოვლი საციგაოდ და საგუნდაოდ გიხარია, მე კი იმიტომ მიყვარს, რომ დიდ თოვლს დიდი მოსავალი მოსდევსო.

ნახატები გიორგი როინიშვილისა



გოჩა

ელაღიშვილი ბაქრაძე

ჯერ ახლა რა არის გოჩა—სამწლინახევრისაა და, მაშინ რა იქნებოდა! წყლის სმა უყვარდა გადაქარბებულადა.

— რას იტყვიები, ბიჭო! რა ამბავია!—უწყრებოდა დედა და მამა.

ერთი პაპა იყო, რომ არ უშლიდა:—წყალი როგორ აწყენს, ისიც ჩვენი წყაროს წყალი. სვას ჩამდენიც უნდა!

ახლა გოჩა დიდი ბიჭია. დღე ისე არ გავა, დოქით ცივი წყაროს წყალი არ მოუტრბენინოს პაპას.

პაპას ზოგჯერ არც კი წყურია, მაგრამ რაკი გოჩამ მოართვა წყალი, ცოტას მიინც მოსვამს და ალერსით ეტყვის:

— უჰ, როგორ მწყუროდა! გაიზარდე დიდი კაცი...

ნახატები ზურაბ ქაპანაძისა



თოვს

ამბროსი ლონხაია

ლაუბამბავს ველ-მინდორი,
ბაღ-ვენახებს დასწოლია,
თოვს, უხშირა თოვლმა შრიალს,
რა თოვაა, რა თოვლია.
მოჰქრის ცივა, მოჰქრის გუნდა,
თოვს, შრიალდებს თოვლი წმინდა,
და ისეთი თოვლი მოდის,
რომ გაგორდენ თოვლში, გინდა!
ლაუბამბავს ველ-მინდორი,
სახლებს, ბაღებს დასწოლია,
თოვს, უხშირა თოვლმა შრიალს,
რა თოვაა, რა თოვლია.



ნახატო მელხაზ ქახაშვილისე

მზადება

ზურაბ კლიაშვილი

თოვლიან თუ ტოტეპზე
ტყეპლის კვირტი აფეთქდა,
რა სცოდნია ახალ წედს,—
ეკელაფერი გათეთრდა.

დედამ სსსაჭაწურედ
დიდი ცომი მოზილა,
სასამ ქვევრი მოსადა,
ბებო სინჯაჯს გაოხინაეს.



გამოცანები

ვიშრისხალემა,
ყანის მშვენება,
შიშობს: ქარის დროს
რა მეშველებმა!

ნუნა ლალიძე

* * *

ქვევრს ჩაემახე:
— ვინ ხარ, მანდა?!
ამომმახა:
— ვინ ხარ, მანდა?!
ავბულზუნდი,—
აბულზუნდა,
ავხარხარდი,—
ახარხარდა.

შალვა შალვაძე

რეცეპტი

თ ა თ



ქ ი



“

”

შეადგინა თელავის საშ. სკოლის მოსწავლემ გ. აღმაზიშვილმა.



„კომეგლეი“

ნახატი შალვა ხხალაძისა

შთავარი რედაქტორი მუხრან მუხაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ქაპრი გოგიაშვილი, ლეილა შრამა, ჯიბალ ლოლა, ზურაბ ლომიძე, მანანა ჰრეშვილი, ირაკლი მემრიაშვილი (პეგ მღვიანი), შალვა ხხალაძე (სამხ. რედაქტორი), მიმი ძნელაძე

პაქ. აღმ. ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რეპრეზენტატიული საბჭოს ექსპლ. უფლებ. ნახატი ზურაბ მუხაშვილისა გამოცემის 47-ე წელი.

ტექნოლოგიური მ. რედაქტორი

შინაშარი: რედაქციის, გამოცემის, სტამბის-თბილისი, ლენინის, 14, ტელ: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, 3/პე მღვიანის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამღვიანოს — 93-98-16.

ვალუტა ასაწობად 15/XI-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-78 წ., კალაღის ზომა 60X90/16 ფიზ. ნახ. ფურც. 25, ტოლი 159.700 სტკ. № 3660 „ლიტა“ № 1, ია გრუკინომ იაკე, ფასი 20 კაპ

საქ. კვ. ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

63/30

76055



„საექტრადო ორკესტრი“—ნახატი ნინო ბაღრიძისა, 10 წლის.
 „ტანკი“—ნახატი გია ლომუანიძისა, 5 წლის.
 „თუთიყუში“—ნახატი გელა მარსაგიშვილისა, 8 წლის.
 „შეგობრები“—ნახატი მზია ტუაფეისა, 4 წლის.
 „ზამთარი“—ნახატი თამრიკო ჩეკურაშვილისა, 4 წლის.
 „სახლი“—ნახატი თამრიკო სვანიძისა, 10 წლის.